ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 4825265001

თარიღი:22/09/2025

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ტენდერის ფორმით შესყიდვების განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 15 ნოემბრის N 31 1707 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61 – ე მუხლის მე – 3 ნაწილის ,,ა'' პუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.შეტანილ იქნას ცვლილება ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ტენდერის ფორმით შესყიდვების განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 15 ნოემბრის N 31 1707 ბრძანებაში და ამ ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი შესყიდვის ტენდერის ფორმით განხორციელების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

მალხაზ ჩხეიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;

მარეხ კანკაძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

ფატი გაგოშიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ზაზა ერბელიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის ფუნქციების დროებით შემსრულებელი;

იონა ჯოჯუა - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების უფროსი;

მირანდა მამისეიშვილი - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსის ფუნქციების დროებით შემსრულებელი. "

2. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N 11).

გია კვასტიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

22127454 6

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი